**ლაპარაკის ნაწილის შეფასების სქემა/ მასწავლებლები .**
**მაქსიმალური ქულა – 16.**

| ქულა | გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან | ლექსიკური მარაგი | გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე | წარმოთქმა |
|---|---|---|---|---|
| 4<br>ძალიან კარგი | ლაპარაკობს ძალიან კარგად, თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პაუზების გარეშე. დროს იყენებს სრულად. | ლექსიკა მდიდარი და მრავალფერო-ვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა. | იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა. | ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი – თანმიმდევრული. შეცდომების რაოდენობა მინიმალურია. |
| 3<br>კარგი | ლაპარაკობს კარგად, პასუხები არგუმენტირე-ბულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე. | ლექსიკა ძირითადად კარგია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის. | იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის. | ბგერები, უმეტესწილად, სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი, უმეტეს შემთხვევაში, თანმიმდევრუ-ლია. |
| 2<br>საშუალო | ლაპარაკობს საშუალოდ; პასუხი, ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს. | ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივი და/ან განმეორებადია. შეცდომები თვალშისაცემია. | იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს. სტრუქტურები მეორდება. შეცდომები თვალშისაცემია | ბგერები, მახვილი და წარმოთქმის სხვა ელემენტები უმეტესწილად, არ არის სწორი. |
| 1<br>საშუალოზე დაბალი | ლაპარაკობს ცუდად, დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი, უმეტესწილად, მოკლე, წყვეტილი, გაუგებარი და/ან არალოგიკურია. პაუხები არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს. | ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია. ლექსიკური შეცდომები ხშირია. | იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ხშირია. | წარმოთქმის შეცდომები სისტემურია. |
| 0<br>ცუდი | ლაპარაკობს სრულიად გაუგებრად;<br>ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან დუმს. | სახეზეა სრულიად შეუსაბამო ლექსიკა. | სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო სიტყვები. | სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს. |